

# 2025-2027 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

## განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - ეროვნული ბანკი) ძირითადი ამოცანა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ამასთან, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისა, ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მომავალი სამი წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს, მონეტარული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს, რომლებსაც ეროვნული ბანკი მიზნობრივი ინფლაციის მისაღწევად გამოიყენებს, და შესაძლო მაკროეკონომიკური რისკების მიმოხილვას.

ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმით ახორციელებს, რომელიც დღეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად არის აღიარებული. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მოიაზრებს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ განსაზღვრას, ხოლო მონეტარული პოლიტიკა იმგვარად წარიმართება, რომ საშუალოვადიან პერიოდში, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს იყოს.

ეროვნული ბანკის შეფასებით, **ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რაც ქვეყნისათვის ინფლაციის ოპტიმალური დონეა, განვითარების ამ ეტაპზე, 3 პროცენტს შეადგენს.** ერთი მხრივ, 3 პროცენტი საკმარისად დაბალია და ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე უარყოფითად არ მოქმედებს. მეორე მხრივ, არ არის იმდენად დაბალი, რომ ეკონომიკური ზრდა დააბრკოლოს.

თავის მხრივ, ინფლაციის ოპტიმალური დონის შეფასება სხვადასხვა გრძელვადიან ეკონომიკურ ფაქტორებსა და ქვეყნის ეკონომიკის მახასიათებლებზეა დამოკიდებული. ცენტრალური ბანკები სამიზნე მაჩვენებლად ინფლაციის დადებით ნიშნულს ირჩევენ, რადგან დეფლაცია რეცესიასა და ეკონომიკური კეთილდღეობის დანაკარგს განაპირობებს. განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლები,

როგორც წესი, 1-2 პროცენტის, ხოლო განვითარებად ქვეყნებში 2-4 პროცენტის ფარგლებშია განსაზღვრული.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში, მონეტარული პოლიტიკა ისე წარმართება, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია წინასწარგანსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელთან ახლოს იყოს. მოკლევადიან პერიოდში კი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრა შესაძლოა ეგზოგენურმა (მონეტარული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელმა), ერთჯერადმა ფაქტორებმა განაპირობოს.

ინფლაციის თარგეთირების პირობებში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტის - მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის (რეფინანსირების განაკვეთის) - ცვლილებით მიიღწევა. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისა და მისი სამომავლო ტრაექტორიის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება მაკროეკონომიკური გარემოს გაანალიზების, ინფლაციის პროგნოზირების, ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების განხილვის, ინფლაციაზე მოქმედი მაკროეკონომიკური რისკებისა და ინფლაციის მოლოდინების შეფასების შედეგად მიიღება.


მნიშვნელოვანია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე აისახოს. ამგვარად, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ეფექტური მართვა, საოპერაციო კუთხით ეროვნული ბანკის მთავარ ორიენტირს წარმოადგენს. ამისათვის ეროვნულ ბანკს გააჩნია მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ჩარჩო, რომელიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებისაგან შედგება.

მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ჩარჩოს პირობებში, ეროვნული ბანკი იყენებს როგორც ლიკვიდობის მიწოდების, ისე ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტებს. **საბანკო სექტორის ლიკვიდობის სამართავი, ლიკვიდობის მიწოდების მთავარი ინსტრუმენტი, რეფინანსირების სესხებია.** ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორს შედარებით უფრო გრძელვადიან ლიკვიდურ სახსრებს ღია ბაზრის ერთგვარი ინსტრუმენტით და მეორად ბაზარზე მთავრობის ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით აწვდის. თუმცა, 2023 წლის მეორე ნახევრიდან ამ ინსტრუმენტებით ლიკვიდობის მიწოდება არ განხორციელებულა. დამატებით, მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ეფექტურად სამართავად ეროვნულის ბანკი ასევე იყენებს მუდმივმოქმედ ინსტრუმენტებს - ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები. გარდა აღნიშნული ინსტრუმენტებისა, ეროვნულ ბანკს გააჩნია ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტი - სადეპოზიტო სერტიფიკატები. აღნიშნული ინსტრუმენტებით, ეროვნული ბანკი საფინანსო სისტემის ლიკვიდობაზე მოთხოვნასა და მიწოდებას ისე აბალანსებს, რომ საპროცენტო განაკვეთები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს ჩამოყალიბდეს.

ამ მიდგომით, ეროვნული ბანკი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს ეფექტურად მართავს. ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები მონეტარული პოლიტიკის


განაკვეთთან ახლოს ყალიბდება (იხ. დიაგრამა N1). და საბაზრო საპროცენტო განაკვეთებიც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ტრაექტორიას მიუყვება (იხ. დიაგრამა N2, N3 და N4). ეს კი საბოლოოდ მონეტარული პოლიტიკის გადაცემის სიძლიერეს განაპირობებს.

დიაგრამა N1 ბანკთაშორისი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N2 საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N3 საპროცენტო განაკვეთი იურიდიული პირის სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N4 საპროცენტო განაკვეთი რეზიდენტების ვადიან დეპოზიტებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის თანმიმდევრულმა ცვლილებამ (როგორც გამკაცრების ისე ნორმალიზების თვალსაზრისით) და ასევე არსებული მონეტარული პოლიტიკის ჩარჩოს პირობებში ეკონომიკაზე გადაცემის სიძლიერემ, საქართველოში ფასების სტაბილურობა წარმატებით უზრუნველყო. მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში ძლიერი საგარეო ეკონომიკური შოკებისა, ეროვნულმა ინფლაციამ მიზნობრივ მაჩვენებელს დაუახლოვა. მაშინ როცა ჯერ კიდევ რიგ ქვეყნებში ინფლაცია მაღალ დონეზე ნარჩუნდება, საქართველოში ინფლაციამ 2023 წლის დასაწყისიდან შემცირება დაიწყო და 2023 წლის მარტის შემდგომ მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალია. ბოლო მონაცემებით, 2024 წლის აგვისტოში მთლიანმა ინფლაციამ 1.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია, რომელიც ყველაზე მერყევ სურსათისა და ენერჯორესურსების ფასებს გამორიცხავს, 0.9 პროცენტი იყო. ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის შედეგად, გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინები სტაბილურია. კერძოდ, ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ინფლაცია, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს გრძელვადიან ინფლაციურ მოლოდინებს, მიზნობრივი მაჩვენებლის გარშემო ნორმალიზდა. დაბალ ინფლაციას ეკონომიკაში გაზრდილი კონკურენციაც უწყობს ხელს. 2024 წლის დასაწყისიდან, ელექტროენერჯის ტარიფების შემცირება დაბალი ინფლაციის დამატებითი ხელშემწყობია. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის განმავლობაში ინფლაციაზე პოზიტიური გავლენა მოახდინა ასევე საგარეო შოკების გავლენის მიღევამ. ამ ეფექტს მნიშვნელოვნად აძლიერებდა გამყარებული გაცვლითი კურსი და იმპორტული არხით ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებდა. თავის მხრივ, მყარ კურსს ძლიერი საგარეო შემოდინებები განაპირობებდა.


ამ ტენდენციების ფონზე, 2023 წლის მაისიდან ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი შემცირება დაიწყო. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ჯამურად 3 პროცენტული პუნქტით (პპ) შემცირდა და 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით 8.0 პროცენტს შეადგენს.

ინფლაციის თარგეთირების პირობებში, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისა და სამომავლო ტრაექტორიის შესახებ გადაწყვეტილება პროგნოზებზე დაყრდნობით მიიღება. მიმდინარე საბაზო მაკროეკონომიკური პროგნოზით, 2024 წელს ინფლაცია საშუალოდ 1.9%-ის ფარგლებში იქნება, საშუალოვადიან პერიოდში კი მიზნობრივი მაჩვენებლის გარშემო დასტაბილურდება. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელსაც ეკონომიკური აქტივობა მაღალია, მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური წნეხი შედარებით სუსტია, რაც რამდენიმე ფაქტორით აიხსნება. კერძოდ, ეკონომიკურ ზრდაში, რომელიც 2024 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით 9%-ს შეადგენს, წამყვანია იმ დარგების (ტრანსპორტირება და დასაწყობება, ინფორმაცია და კომუნიკაცია და სხვა) წვლილი, რომლებიც პროდუქტიულობის გაუმჯობესებას და შესაბამისად პოტენციური ზრდის დაჩქარებას განაპირობებენ. შედეგად, მიწოდების გაუმჯობესების ფონზე, მოთხოვნის

მხრიდან წამოსული წნეხი და ფასებზე გადაცემა სუსტია. პროდუქტიულობის დაჩქარებასთან ერთად, ბოლო პერიოდში ეკონომიკაში მოგების მარჟების შემცირება შეინიშნება, რაც გარკვეულწილად კონკურენციის ხარისხის გაუმჯობესებას უკავშირდება. ეს ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ხელფასების ზრდის წნეხი ფირმებმა ფასებს არ გადასცეს.

ზემოაღნიშნულ ფაქტორთა ეფექტები, ეტაპობრივად ამოიწურება, რაც ინფლაციის მიზნობრივ დონესთან დაახლოებას შეუწყობს ხელს. ამასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ საგარეო ფაქტორების მოქმედებაც, 2024 წელს, შედარებით ინფლაციური იქნება და მთლიანი ინფლაციის მიზნობრივამდე გაზრდაში წვლილს შეიტანს. მიმდინარე წლის დასაწყისიდან, გართულებული გლობალური კლიმატური პირობების ფონზე, გარკვეულ სურსათის ნედლეულზე ფასების ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა. საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების ამჟამინდელი პროგნოზებით, ბრენტის ნავთობის ფასის მოლოდინები, ბოლო პერიოდში გეოპოლიტიკური სიტუაციის ესკალაციის ფონზე, მცირედ ზრდის მიმართულებით გადაიხედა. შედეგად, სხვა თანაბარ პირობებში, როგორც სურსათის, ასევე ნავთობის ფასების გავლენა, გარკვეულწილად, ინფლაციური იქნება (იხ. დიაგრამა N5).

დიაგრამა N5 წლიური ინფლაციის პროგნოზი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, აგვისტო 2024

როგორც აღინიშნა, ეკონომიკური აქტივობა ძლიერია. წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის იანვარ-ივლისის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 9.7 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი, ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებია. ეროვნული ბანკის ამ ეტაპზე არსებული საბაზო პროგნოზით, 2024 წელს ეკონომიკა 6.8%-ით გაიზრდება. თუმცა მიმდინარე ტენდენციების მიხედვით მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდის პროგნოზი მატების მიმართულებით გადაიხედოს. აღნიშნული, ძირითადად, ეკონომიკის პოტენციალის ზრდის გაუმჯობესებული შეფასებითა და მოსალოდნელზე ძლიერი ადგილობრივი მოთხოვნით აიხსნება. კერძოდ, ერთი მხრივ, ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების ფონზე, საწარმოო ფაქტორების პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად გაზრდილია ცალკეულ სექტორებში, მათ შორის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის მიმართულებით. იმავდროულად, მნიშვნელოვანი ხდება საქართველოს, როგორც შუა დერეფნის ქვეყნის როლი, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს დაკავშირებულ დარგებში სიმძლავრეების გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ მოხმარება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეკონომიკურ ზრდაში, რასაც მიმდინარე პერიოდში მაღალი საკრედიტო აქტივობაც ასტიმულირებს.

აღსანიშნავია, რომ გლობალურად და, განსაკუთრებით, რეგიონში მაღალი გაურკვევლობების ფონზე, ვითარება კვლავ სწრაფად ცვალებადია. ამ ფონზე მნიშვნელოვანია, რომ მონეტარული პოლიტიკის რეაგირება იყოს ფრთხილი და მოზომილი. მაღალი გლობალური გაურკვევლობის ფონზე, საყურადღებო რჩება საფრთხეები როგორც იმპორტირებული სასაქონლო პროდუქციის (სურსათი, საწვავი) ფასებისა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების ზრდის, ისე განვითარებული ქვეყნების (განსაკუთრებით, აშშ) მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაციის ტემპის კუთხით. ასევე აღსანიშნავია, რომ დაკრედიტება განსაკუთრებით დაჩქარდა ბოლო პერიოდში, რაც, მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაციის ფონზე, საბანკო სექტორის მხრიდან შერბილებული ფინანსური პირობების ასახვაა. მაკროეკონომიკური რისკების გათვალისწინებით, მიმდინარე მაკროეკონომიკური პროგნოზით, ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ნორმალიზებას მხოლოდ ზომიერი ბიჯებით განაგრძობს. საშუალოვადიან პერიოდში კი, სხვა თანაბარ პირობებში, განაკვეთი მისი ნეიტრალური დონის (მიმდინარე შეფასებით 7%-ის ფარგლებში) გარშემო დასტაბილურდება (იხ. დიაგრამა N6).

დიაგრამა N6 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პროგნოზი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, აგვისტო 2024

უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პროგნოზი არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის დაპირებას მონეტარული პოლიტიკის მომავალ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ის ასახავს განაკვეთის საორიენტაციო ტრაექტორიას იმ დაშვებით, რომ ეგზოგენური ფაქტორები პროგნოზში გათვალისწინებული სცენარით განვითარდება. შესაბამისად, თუკი საგარეო ან/და შიდა ფაქტორები მოსალოდნელისგან განსხვავებული იქნება, ეს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, შესაბამისად, ეროვნული ბანკის მომავალ გადაწყვეტილებებზეც მოახდენს გავლენას. მიუხედავად პროგნოზის თანმხლები არსებული გაურკვევლობისა, საპროცენტო განაკვეთის სამომავლო ტრაექტორია მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ლარის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები.

ინფლაციისა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მოსალოდნელი დინამიკა დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვითარდება გლობალური ეკონომიკური მდგომარეობა და გეოპოლიტიკური ვითარება. საქართველო მცირე ზომის, ღია ტიპის ეკონომიკაა, ჯერ კიდევ მაღალი დოლარიზაციის დონით და შესაბამისად მოწყვლადია საგარეო შოკების მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკურ პროგნოზების რისკების ანალიზი.

მომდევნო სამი წლის განმავლობაში, შესაძლო არაპროგნოზირებადი შოკების კატეგორიას განეკუთვნება გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან მომდინარე რისკები. გლობალურად მწვავე გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე მაღალი გაურკვევლობა ნარჩუნდება საერთაშორისო ბაზრებზე ნედლეულების ფასების მოსალოდნელი ტენდენციების გარშემო. შესაბამისად, რისკის მატარებელია, ენერგომატარებლებსა და სურსათის ნედლეულზე ფასების, ასევე ტრანსპორტირების ღირებულების ცვლილება, რეგულირებადი ფასების ცვლილება, განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის მდგომარეობის ცვლილება და სხვა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რისკები, შესაძლოა, მიმართული იყოს ფასების როგორც ზრდის, ასევე შემცირებისაკენ.

საქართველოს ტიპის მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნის შემთხვევაში, მონეტარული პოლიტიკის ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის არსებობა მნიშვნელოვანია, რათა მონეტარული პოლიტიკის რეაგირება საქართველოს ეკონომიკური ციკლების შესაბამისად წარიმართოს და მაქსიმალურად იქნეს შენელებული ბიზნეს ციკლით გამოწვეული ეკონომიკური მერყეობა. შედეგად, ინფლაცია და დასაქმება უფრო სტაბილურია, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების წინაპირობაა. ამავდროულად, ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდისა და შედეგად, გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია კაპიტალის თავისუფალი მობილობა. ეს ორი პირობა კი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის არსებობას მოითხოვს. გაცვლითი კურსი შოკების შთანთქმის ფუნქციას ასრულებს, რამდენადაც, უარყოფითი (დადებითი) საგარეო შოკის შემთხვევაში, გაცვლითი კურსის ცვლილება ქვეყნის კონკურენტუნარიანობას (სამომხმარებლო ფასების სტაბილურობას) ინარჩუნებს და ამ გზით ეკონომიკურ ზრდასა და ინფლაციაზე აღნიშნული შოკის გავლენას ასუსტებს.

მცურავი გაცვლითი კურსის ჩარჩოს პირობებში სავალუტო ინტერვენცია ძირითადი ინსტრუმენტი არ არის, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ის მაინც გამოიყენება, როგორც პოლიტიკის დამატებითი ინსტრუმენტი. ეროვნული ბანკი სავალუტო ინტერვენციების რამდენიმე ინსტრუმენტს იყენებს: (ა) წესებზე დაფუძნებულ ინტერვენციას, რომელსაც ეროვნული ბანკი საერთაშორისო სავალუტო რეზერვების დაგროვებისა და გაცვლითი კურსის ჭარბი მერყეობის შერბილებისთვის ახორციელებს და (ბ) დისკრეციულ ინტერვენციას, რომელიც სავალუტო ბაზრის პირობების გაუარესების შემთხვევაში (მაგალითად, კაპიტალის ნაკადების დროებით მომატებული მერყეობისას) იყენებს.

საერთაშორისო სავალუტო რეზერვები ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი გარანტორია. 2024 წლის აგვისტოს მდგომარეობით საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 4.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან მნიშვნელოვანია საერთაშორისო სარეზერვო აქტივების ეფექტური მართვა. სწორედ ამ მიზნით, საერთაშორისო რეზერვებში მონეტარული ოქროს დამატება ეროვნული ბანკის

სტრატეგიული გადაწყვეტილებაა, რომელიც დაკავშირებულია გლობალურ ინფლაციურ რისკებთან და რეზერვების მსყიდველუნარიანობის დაცვასთან. საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასის მზარდია და სებ-ის ოქროს ზოდების საბაზრო ღირებულების ზრდა დაახლოებით 77 მლნ აშშ დოლარს უტოლდება. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი საერთაშორისო რეზერვების დაგროვებაზე ორიენტირებული რჩება. შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა წმინდა შესყიდვებმა 2023 წელს 1.28 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 2024 წელს იანვარ-აგვისტოს მდგომარეობით 109.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკაზე გადაცემის გამლიერებისათვის და ფინანსური სტაბილურობის გასამყარებლად ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს ლარიზაციის ღონისძიებებს. მიმდინარე წელს, ეროვნულმა ბანკმა უცხოური ვალუტის არაჰეჯირებული სესხების ლიმიტი, ჯერ 2024 წლის 1 იანვრიდან 300,000-მდე, ხოლო დამატებით კი ამავე წლის 1 მაისიდან 400,000-მდე გაზარდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გატარებული ღონისძიებების შედეგად სესხების ლარიზაცია გაიზარდა. ივლისის მდგომარეობით, მთლიანი სესხების პორტფელის 56 პროცენტი ლარშია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიზიკურ პირების სესხების ლარიზაციის მაღალი დონე. კერძოდ, ფიზიკური პირების სესხების, 73 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული. მიუხედავად ამ პოზიტიური ტენდენციებისა, დოლარიზაცია კვლავ მაღალია და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევად რჩება. ამდენად, ეროვნული ბანკი დოლარიზაციის დინამიკას მუდმივად ანალიზებს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ღონისძიებებს ატარებს, რაც არა მხოლოდ ცალკეული მსესხებლების სავალუტო და მასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკებს ამცირებს, არამედ ასევე ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფით ლარის მიმართ ნდობა იზრდება, რაზეც საბანკო სექტორის დეპოზიტების ლარიზაციის ტენდენციები მიუთითებს. ივლისის მდგომარეობით, მთლიანი დეპოზიტების 52 პროცენტი ეროვნული ვალუტაშია დენომინირებული, ხოლო რეზიდენტი მდგომარეობით, დეპოზიტების ნახევარზე მეტი ლარშია. რეზიდენტების დეპოზიტების ლარიზაცია 59 პროცენტია.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ეფექტურობას გარკვეულწილად დოლარიზაცია ამცირებს. დოლარიზაცია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მაღალი დოლარიზაცია, ვალუტის კურსის მერყეობისადმი მოწყვლადობის ზრდასა და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის შეზღუდვასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობის რისკებსაც შეიცავს. გარდა ამისა, ის ქვეყნის რისკიანობაზეც აისახება და საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესებას უშლის ხელს.

ეროვნულ ბანკს მიაჩნია, რომ ზემოთ წარმოდგენილი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას საშუალოვადიან პერიოდში. შესაბამისად, ის გაზრდის საქართველოს ეკონომიკის მდგრადობას

პოტენციური შოკების მიმართ და ხელს შეუწყობს ეკონომიკის სტაბილურ და გრძელვადიან ზრდას.